

რედაქცია

ბანაგის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, პატარის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дროзба“, при типографіи Меликова.

ბაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაურია.



განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულის სტრიქონზე — 8 კაპ., ციცქროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ცალკე ნომრები „დროზბისა“ ისჯიდება:

- ვართანოვის წიგნის მალაზიაში (ქუთაის ხილზე, მირზოევის შენობაში)
- ბრიჭუროვის წიგნის მალაზიაში (ქუთაის ხილთან, ზუბალოვის სახლში)
- „პარდანახის“ სარდალში (სახალის ქუჩაზე, პარჭურის ქრავსლაში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ)
- ადამოვის კანტორაში (სიონის პირ-და-პირ)
- სტეფანოვის მალაზიაში (შუა ბაზარში)
- ბრიგოლოვის მალაზიაში („აგვაზს“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში).

ფასი თითო ნომრისა — 5 კაპიკი

ხელის-მოწერა ან 1877 წლის

„დროზბაზე“

მიიღება გაზეთის რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილი. სტამბაში (ბანაგის ქუჩაზე, ნაპ. პატარის სახლებში). შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дროзба“.

მან. კაპ.

ფასი	მთელი წლის გაზეთისა	—	—	8	—
	მქვის თვისა	—	—	4	— 50
	სამის თვისა	—	—	2	— 50
	ერთის თვისა	—	—	1	—

ხვედრი ფასი ბაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

ფელტონი

საშუბარი გლახთან

— აჰა, შე ბალთამანო, შე ბალთამანო! რაღა ჩემ ვენახ ჩაცობია; სხვაგან კი გზა ვერ იპოვია?! საკურველოა: წამლათ რო გინდოდეს და დამუქრებული ეძიო, ვერ იპოვი, მთელი დღე რო იარო, და საცა ლობიოს დანახამენ, აღარ მოუსვენებენ, სანამ ძირიანათ არ ამაგდებენ! აი, დაგწყველოთ ღმერთმა! — სთქვა ჩემმა მოგზაურმა და დამანახა ხუთი-ოდე კურდღელი, რომელნიც წასკლებულიყვნენ ყურებ ცქვიტით და ლობიოს ცუცნიდნენ.

— აბა, მოიტა, მათხოვე ეგ შენი თოფი, ესცადო ჩემი ყოჩაღობა, მოვარტყამ, თუ ვერა! — მუთხარა მე.

— არა, არა, დამესხენ, გეთაყვა! შამისოთაც აგერ გულელები დაუსქდეთ ხალხს და ეხლა რო თოფი გაისროლო, მეტიც არ უნდათ, — შიშით გაქრებთან დედაკაცები!

— როგორა? რაზედ?!

— როგორ რაზედ? რაც პაპიჩემი ხნის დაქანგებული თოფ-იარაღი ეყარა — სუ ეხლა დაფერეს, ამ ომიანობის გაგებაზე, იგრე შეფიქრდნენ, და მუდამ მზათ არიან, და ეხლა რომ თოფი ხმა გაიგონონ, ის არი, გამოკვივიან, ეგონებათ მტერი კარ მოგვადგაო. ამას გარდა კიდევ ლენსინიმა თუ გაიგო, თოფსაც წამართმევს და ოზდა ხუთ მანათსაც ტრაფ დამაწერამს კისერზედ.

— ლენსინს რა უნდა, ჩვენ კურდღელი მოვკლათ?

— როგორ რა უნდა! მხლა რო საშვილონოთ არიან მომზადებული პირუტყვი და ფრინგლები, უშლიან დახოცვას, რო არ გადაშენდნენო.

— მართლა? მაშ დიდი მხეცების მოკვლასაც უშლიან? და ხო უფრო გამრავლდებიან; ის არა სჯობია, ეხლა დახოცონ, რომ მგლებისა და ტურებისგან მოისვენოს კაცმა?

— ნწუუ, არა! რათა, მტრებიც უნდა შინახო კაცმა, თორე მოკეთე ხო შენახული გყამ მაინცა. თუ აღამიან მტრები არა ყამ და მოსვენებულია, იცოდე, იმას დაეძინება და სუ რო გათელონ, ვერას გაიგებს. საცა მტრებია, იქ, იცოდე, მუდამ ფხიზლათ არი აღამიანი. რაც მეტი მტერიყამ აღამიანს, იმთენი უფრო ყოჩაღობას, მამაცობას და მხნეობას იჩენს. შეუძლიან, თუ არა, მტერს კი გულადათ ეჩვენება და.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ!

— აი, ეხლა ომიანობამ როგორ თვალელები დაგვაჭყეტინა ამდენ ხან მიძინებულეებს! ჩემ სიცოცხლეში ხელი არ მაამიკინია ემ თოფითენ, აგრე ეგდო ნაგავში და ეხლა დახე, როგორ გავაკამე! შამისოთ კარზე ფხვ არ გავადგამ დღეის იქით! ახ, ვენაცვალე შენს გამმართავს და მაამგონს! (ჰკოცნის). მხლა ერთი დამბახაც უნდა ვიყიდო, თუ სადმე შეგხვდი ფარსავს!

— ეკ თოფი როგორია, კარგი არ არი?

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

სუგდიდი, 16 მაისს. ღერხალ კრავჩენკოს ატრიადი 14-ს ბოლადის სიღთან მივიდა; კავალერიას მცირეოდენი შეტაკება ჰქონდა მტერთან. ნახსთან დაუენებული სამი როტა მდ. კოდორზე გადავიდა. ოქუმიდამ მომავალი ღერხალ ალხაზოვის ჯარის მალე შეუერთდება ღენ. კრავჩენკოს ატრიადს.

ოზურგეთი, 16 მაისს. ზოლკოვნიკი გურჩინი ქობულეთის ატრიადის მოწინავე ჯარით გადავიდა მდ. კინტრიძეზე, დაიჭირა სამების სიმაგრეები და ამნაირად ცისის-ძირისა და ქობულეთის გზა შეჭკრა. მტერმა ცისის-ძირისაკენ დაიწია. ჩვენის მხრით ხამი კაცია დაჭრილი.

— ამავე დროსვე მაიორი თ. მელიქოვი წავიდა კინტრი-

ძის შემოთ; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფიცხელი წინააღმდეგობა გაუწიეს იმას, მაგრამ მხინც დაიჭირა წინათვე დანიშნული ადგილი სოფ. სენითთან, ექვსს ვერსზე სუცუბანიდამ. ჩვენის მხრით 4 მოჭკლეს და 26 დაჭრილია. ჩვენ ვამაგრებთ სამებას, კინტრიძეზე სიღს ვაკეთებთ და აგრეთვე გზას. მალიან ცუდი ტაროსებია.

ქურუკ-დარა, 17 მაისს. ღერხალ-მაიორის ლორის-მელიქოვის არტილერიას ფიცხელი შეტაკება ჰქონდა ეარსიდამ გამოსულ ჯართან მაგარაჯისის მახლობლად. ჩვენის მხრით 1 მოკლულია და 6 დაჭრილი; მტერმა 40 მკვდარი დასტოვა ბრძოლის ველზედ.

ეკატერინოდარი, 18 მაისს. ზოლკოვნიკი შოლკოვნიკოვი ზღვიდამ ამაგრებს სოჩას. სო-

— მგაა? მით ტყვეთა ღირს! ოზდა ხუთი მანეთი მაძლიეს, ოზდა ხუთ სახარებას გეფიცები, მარა ვერ მიხვეც. რა ვიცი, იქნება მეც შემხვდეს წასვლა ომში და რათ გავყილო.

— წახვალ, რო მართლა მოგითხოვონ?

— რატომ? რატომაც არ წავალ!.. მა რას ვიქთ, რო არ წავალთ!

— სხვა რა გესმის კიდე ომიანობაზე?

— ჰმ! ბაზეთი შენ მოგდის და ლიტრიგამა და შენ უფრო არ გეცოდინება! მე რას მკითხავ!

— მართალია, მაგრამ შენ მაინც რა გესმის?

— მე არა მესმის-რა! ჯერ კი, ღვით, ჩვენებს გაუმარჯვიათო, და აბა რა ვიცი, რაც აქედამ ჯარი გაგზავნეს იმათ რა გაუძლებდა!..

აი, ეგრე ამობენ და აბა რა ვიცი!.. მაიმარჯვებს კია, ღვით, ჩვენები. აი, ერთხელ, ამობენ, ნეფე მრეკლეს სადღაც მტერი დაეცა ოთხი ათას ხუთ-ოც კაცითაო; მრეკლეს მარტო ოთხასი კაცი ყამდაო. მაიგო თუ არა მრეკლემ მტრის მოახლოება, დააყენა მღვდელი პარაკლისზე და უბძანა ჯარს არ დაიძრან ადგილიდამ, თუნდა თოფებიც დაუშინონ. ნეფე თავის მცირე ჯარით ლოცულობს, მტერი გარს მოეხვევა ცეფივით. ბოლოს მრეკლემ აილო

თოფთ და უთხრა ხალხს: უცქირეთ, მე გავისვრი, თუ ბოლი მტრისკენ წავიდა, ჩვენია მტერი, მიდით უშიშრათ და დახოცეთ, თუ ჩვენკენ დაბრუნდა ბოლი, მაშინ წაუღია ჩვენი საქმე. თოფი გავარდა და ბოლი მტრისკენ წავიდა. იმ წამ დერიინენ ოთხასი კაცი ოთხი ათასს და თითოეულათ აკრიფეს პურის მარცვალივით... მგრეა, თუ ღმერთს უნდა, ჩვენი ხემწიფე აჯობებს, თუ არა და რა გამოვიდა! მჭეი! (დაუმატებს ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ): რა ამბები იქნება! მხლა რო ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, იქ გონი სისხლის მორევი დგა და ერთი ცოდვის ლულა ტრიალებს!.. ძან თვალმაქცობას კი ამობენ, იმ ოხრებისას. მართი ბაბაყული გამოვავო, გონია ეგ ბუზსაც ვერ მოკლავსო, და იგეთი ყოფა გააქ თურმე, რო საანდაზო! სუ ჯადაო, მარა რა არა! მოხიბლულეები არიან, ი ურჯულოებია!..

მსე კი მელაპარაკებ ოდა ჩემი გლენი.

თეფ. პანდელაკი

აპრილის 2-ს მიზიყი.

### ჩანს მცხოვრებლები მშვიდობით მივიდნენ ტუბსსს.

ზუგდიდი, 18 მაისს. ბაგდადის ხიდზე გადასვლის დროს კრახინკოს ატრიადს ფიცხელი შეტაკება ქქონდა მტერთან. ჩვეის მხრით 20 კაცი დაჭრილია. დენერალის აღსაზრვის ჯარი 16-ს მივიდა არხნარსკეტთან და აქ შეუერთდა სამ როტას, რომელიც ნახე გადმოვიდა. 400 კაცი ქუთაისის აზნაურთა დრუჟინისა 18-ს გაემგზავრა ოქუმიასკენ.

ქჭურუქ-დარა, 18 მაისს. ერთი ნაწილი მთავარი კორპუსისა 17-ს ხაჯი-ხალილს მივიდა. გაქიანთან დიდძალი კავალერია დგას ოსმალებისა.

## ოქმის ამბები

### სოხუმის აღებაზე

ზაზეთებში დასახლებულია ის ხუთი მოთავე ჩერქეზებისა, რომელნიც, როგორც წასულ რომერში იყო მოხსენებული, სტამბოლიდამ მოვიდნენ სოხუმს აქ დარჩენილ ჩერქეზებისა და აზნაურების ასაჯანყებელად და რომელთაც მართლაც შეასრულეს თავის განზრახვა; ესენი არიან: ჰაჯი ჰუსეინი, მანდიკამ ბეკათი, მანემინი, ჰაჯი ალი და მემბედ-ბეი.

სოხუმის აღების თაობაზედვე ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებინან სტამბოლიდამ შემდეგ ამბავს:

„აქაურები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ სოხუმის დაჭერას; მსმალს მმართველობა დარწმუნებულია, რომ რაკი ერთს ალაგას ჩასდგეს ძავეკასიაში ფეხი, ახლა აქედამ მოახერხებენ, რომ ძავეკასიის ყველა მაჰმადიანებთან კავშირი იქონიონ და ააჯანყონ; იმედი აქეთ, რომ ჩერჩეზები, ლეკები და ძავეკასიის თათრები ყველანი ადგებიან და მოსვენებას არ მისცემენ რუსეთის ჯარს. მაგრამ რალა თქმა უნდა, რომ ეს იმედები იმათ ვერ შეუსრულდებათ...“

„თვითონ სოხუმის მაზრაში კი ამ ჟამად, როგორც ვტყობა, ოსმალები ბატონობენ; სოხუმის მაზრაში ცალკე სანჯახი გაუკეთებიათ, ყველგან თავის კაცები დაუყენებიათ და მთელი ამ მაზრის უფროსად დანიშნულია ჭაზლი-ფაშა, რომელიც ადრე სერბიაში იყო დღეობის ლენერალად და რომელიც ახლა შუშლიდამ წავიდა სოხუმს. ის ჭაზლი-ფაშა, ამბობენ, ძალიან ენერგიული და მხნე კაცი არისო და, უეჭველია, ამას სოხუმის მაზრაში დიდი გავლენა ექნება.“

„სოხუმისკენ ბათუმიდამ თითქმის ყოველ დღე თოფ-იარაღსა და სურსათს აგზავნიან. საზოგადოთ ამ მხრისაკენ ძალიან მარჯვეთ მიჰყავთ საქმე! მაგრამ ამათი უბედურება ეს არის, რომ ფულები აკლიათ.“

მეორე კორესპონდენტი ამავე საგანზე იწერება, რომ „ოსმალოებს სოხუმში იმდენი ჯარი ჰყავსთო, რომ თამამად შეუძლიანთ ამ ჯარით ქუთაისილამ ოფილისში წავიდნენ!“

„მხოლოდ, ძალიან ჩქარა ფქვევენ...“  
„თუ რამდენათ აფასებენ ოსმალოები სოხუმის აღებას, დაინახეთ იქილამ, რომ ოსმალების სასულიერო წოდების პირველ პირს შეიხ-

ულ-ისლამს ამ სოხუმის აღებისათვის „ძღვეა - მოსილის“ სახელი მიუნიჭებია სულთანის აბდულ-ჰამიდისათვის.

„ქელნის ბაზეთში“ იწერებინან სტამბოლიდამ:

„ამ დღეებში გამოვიდა აქედამ ცხრა სამხედრო ხომალდი, რომლებზედაც 10,000 კაცი იხდა და 45,000 ახალი სისტემის თოფები ეწყო. ამ ჯარში ბევრი ჩერქეზები ურევია. სულ ეს ჯარი პირ-და-პირ სოხუმისაკენ ეგზავნება. ჭაზლი-ფაშა სოხუმის კორპუსის მთავარ-სარდალად არის დანიშნული. შამილის შვილი აჯანყებულ ჩერქეზების სარდლობას ჰკითხულობს.“

„ის ჯარი, აქედამ წასვლის წინა დღეს, დახედა თვითონ ხონთქარმა და, სხვათა შორის, უთხრა, რომ „მეტქვენ გგზავნით ძავეკასიაში და იქაური თქვენი თანა-მოძმეების განთავისუფლება და შეველა თქვენზედ არის დამოკიდებული“.“

საზოგადოთ ინგლისურს გაზეთებს ყველაზე მომატებული ყურადღება ძავეკასიაზე და აქაურს ბრძოლის ველზედა აქეთ მიქცეული. ბევრს ნამდვილ ამბავსაც იწერებინან აქედამ ინგლისურს გაზეთებში, მაგრამ ბევრს ისეთებსაც ვტყობულობთ, რომელიც, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის.

ამ გვარს ძნელად დასაჯერებელს ამბავს ვტყობენ, მაგალითად, შემდეგი ამბავი, რომელიც ერთს ინგლისურს გაზეთილამ რუსულ გაზეთებში არის გადმობეჭდილი. აი ეს ამბავი:

„მცირე აზიისაკენ რუსის ჯარები ძალიან სასტიკად იქცევიან. ჩურუქ-სუს (ძობულეთის) ახლო-მასლო იმათ ჯერ გაწყვიტეს და დახოცეს ქალები, მოხუცებულები და ბავშვები და მერე რამდენიმე სოფელი სულ გაცარცვეს და გადასწვეს.“

„ხალხთა შორის ტელეგრაფის აგენტობა“ შემდეგ ამბავს გვაცნობებს სტამბოლიდამ მიღებულს:

„შეიხ-ულ-ისლამმა პარასკევს, 6 მაისს, გამოაცხადა „სამღვთო ბრძოლა“ რუსების წინააღმდეგ, რომელიც, შორანის ძალით, ყველა მაჰმადიანებმა უეჭველად მონაწილეობა უნდა მიიღონ. ამ გარემოებას სამინლად ააღელვა ხალხი.“

„რამდენიმე მოლლა გაგზავნეს აქედამ ძავეკასიაში იქაური მაჰმადიანების ასაჯანყებელად.“

„სტამბოლში ბევრი აფიცრები მოდიან ინგლისილამ; ამაგრებენ ქალაქს, თხრილები გაჰყავთ, ახალ სიმაგრეებს და კედლებს აშენებენ, ხარბაზნებს აწყობენ და სხვ.“

რუსის გაზეთის „ჩრდილოეთის მოამბის“ კორესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება ლუნაილამ:

როდესაც დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი ლუნაის არმიის სარდალი ბრადლოვში მიდიოდა, ამ დროს ერთმა სომეხმა შეატყობინა მსმალებს, რომ სარდალი ამა-და-ამ დროს მივაო. მსმალთებმა სამი ყუმბარა ესროლეს იმ მატარებელს, რომელშიაც დიდი მთავარი ბრძანდებოდა; ერთი ყუმბარა დეარდა იმ სახლის ეზოში, საცა შტაბი დგას, მეორე არტილერიის პარკში ჩავარდა და მესამეც მატარებელთან. მაგრამ, საბედნიეროთ, არცერთი ყუმბარა არ გასქდა და არავისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია. სომეხი დიკირეს და იმ წამსვე დახვრიტეს.“

მსმალთა კარის უფროსად ლუნაიზე ორი სარდალი არის: აბდულ-მერიმ-ფაშა და მიუბ-ფაშა.

ზაზეთებში იწერებინან, რომ აქ, ლუაიხ, ამათ ბრძოლის ველზე 60,000 კაცის მეტის გამოყვანა არ შეუძლიანთო; დანარჩენი ჯარები ცინებში არიან დაყენებულნი და იქილამ ვერ გამოიყვანენო.

ლონდონილამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ არტაანილამ მიდს ბათუმის ასაღებად 20,000 რუსის ჯარი, რომელსაც, როგორც ამბობენ, თვითონ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გაუძღვება წინაო.

ერთს ვენის გაზეთში დაბეჭდილია, რომ იზმილ-ფაშა რამდენიმე ათასის კაცით ქურთებით ბაიზეთისაკენ მიდისო და იმედი აქვსო, რომ ამ ქალაქს ისევ წაართმევს რუსებსაო.

### მაკ-მაჰონი და საზრანბითი

მოულოდნელი ამბავი მოგვიტანა ამ დღეებში პარიჟილამ დეპეშამ: რესპუბლიკის პრეზიდენტს მარშალ მაკ-მაჰონს სრულიად უმიზეზოთ და უსაფუძვლოდ გაუკიცხეს შულ სიმონისა და იმის სამინისტროს მოქმედება და იმ ზომამდინ მიუყვანია, რომ ამ სამინისტროს სამსახურილამ დათხოვნის ქალაღი უნდა შეეტანა.

ტელეგრაფილამ გვაცნობა შინაარსი იმ უაზრო და ხეპრულის წიგნისა, რომელიც მაკ-მაჰონს მიუწერია შულ სიმონისათვის; გვაცნობა აგრეთვე არა-ნაკლებ ხეპრული ეპისტოლე იმისი ნაციონალურს პრეზასთან და სენატთან მიწერილი; გვაცნობა ისიც, რომ, შულ სიმონის სამინისტროს მაგიერად, მაკ-მაჰონს ბროჰლისა და ჟურტუს სამინისტრო ამოურჩეია.

ის ამბავი მოულოდნელი იმიტომ არის, რომ რაც კი რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში, მას აქეთ თითქმის არც ერთი ისეთი მკვიდრი და პარლამენტალურ წესზე დამყარებული სამინისტრო არ ყოფილა, როგორც ეს უკანასკნელი შულ სიმონის სამინისტრო. პარლამენტის წესი თხოულობს, რომ რამდენიმე სამინისტრომ მხოლოდ მაშინ უნდა დაინებოს თავი სამსახურს, როცა პალატაში ის თავის მომხრე დეპუტატებისაგან უმრავლესობას ვერ შეადგენს, ანუ როცა, რომელიმე კითხვის განხილვის დროს, უმრავლესობა იმას თავის „დაუნდობლობას“ ანუ განკიცხვას გამოუტყვადებს. ამ მხრით შულ სიმონის სამინისტრო, როგორც ზევით ვსთქვით, ყველა აღრინდელ სამინისტრო-ზე უფრო კანონიერი და მოხერხებული სამინისტრო იყო, რადგან მომეტებული ნაწილი იმის წევრებისა რესპუბლიკელები იყვნენ და ახლანდელ ნაციონალურ პრეზბის უმრავლესობასაც რესპუბლიკელები შეადგენენ.

მაგრამ პრეზიდენტმა მაინც დაითხოვა ეს სამინისტრო. რატომ? რამიზეზეთ? რა განზრახვით?

ის მიზეზი, რომელიც მაკ-მაჰონის წიგნში და ეპისტოლეშია მოყვანილი, რომ თქვენ მინისტრების რჩევაში ერთს ლაპარაკობთ და პალატაში მეორესაო, რომ ბეჭდვის კანონებზე მოლაპარაკების დროს თქვენ მმართველობის ჰაზრი ვერ დაიცვითო და სხვა ამისთანა, რასაკვირველია, ნადვილი მიზეზი არ არის შულ სიმონის სამინისტროს დათხოვნისა.

შველასთვის ცხადია, რომ მაკ-მაჰონს თითქმის არავითარი გარკვეუ-

ლი პოლიტიკური ჰაზრები და რწმუნებანი არა აქვს; არც დიდა ქუთის კაცია ის; ყველას ის მხოლოდ მხნე და პატიოსან სარდალად მიაჩნიათო; თუმცა ბერმანისთან ომის დროს იმან როგორღაც თავის მხნეობა ვერ გამოიჩინა და თავის პატიოსნებას ხო ახლა ვერ ამტკიცებს.

ამნაირად, მაკ-მაჰონი თავის თავად არაფერია, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის ის არის, რასაც სხვები ჩასძახებენ, რასაც იმის გარშემო მყოფი პირები ეუბნებიან. თუ რესპუბლიკელები ახვევიან გარშემო — რესპუბლიკელია, თუ ლეგიტიმისტები — კლევიკალი და ბურბონის მომხრეა, თუ ბონაპარტისტები — ნაპოლეონების მომხრეა და სხვ.

ამ ჟამად ის ბროჰლის, ჟურტუს და სხვა ამგვარ პირების ხელში ჩაგარდნილა. და რასაც ახლა ის სჩადის, სჩადის ამათი ჩაგონებითა და რჩევით.

პარგი, გარდაყენა, ვსთქვათ, შულ სიმონი და იმის ამხანაგები და შეადგინა ბროჰლისა და ჟურტუს სამინისტრო. ამათ, უეჭველია, კარგათ უნდა იცოდნენ, რომ ნაციონალურ პრეზაში უმრავლესობა არ ეყოლებაო, რომ პირველ შეტაკებაზედვე ისინი დამარცხებულნი, განკიცხულნი იქნებიან პალატაში და ამის გამოც იძულებულნი იქნებიან, რომ მინისტრობას თავი დაანებონ. მაშობთ, რომ ეს იმათ კარგათ უნდა იცოდნენ. და ამიტომაც თავიანთ გამინისტრებისათანვე ბროჰლიმ, ჟურტუმ და სხვებმა ერთს თვით დათხოვნის მაკ-მაჰონს ნაციონალური პრეზა, რომელიც, თუ ასე არ მოქცეულიყვნენ, თვითონ იმათ დაითხოვდა.

რამომხდება ამ ერთს თავის განმავლობაში ან ამის შემდეგ ძნელი არ არის ამის თქმა: მომავალი თიბათვის 16-მდინ ეს სამინისტრო ყოველის-შემძღვებელი და მბრძანებელი იქნება საფრანგეთში; ის გამოსცვლის ბევრ პრეზენტებს (ლუბერნატორებს), მერებს (ქალაქის თავებს) საცა კი უფლება აქვსო და საზოგადოთ ისეთ ჩინოვნიკებს, რომელნიც თავის მტრებად და კლერიკალებისა და მონარხის მოწინააღმდეგედ მიაჩნიათ, და მათ ნაცვლად თავის მომხრეებს, თავის ყურმოჭრილ ყმებს დააყენებენ.

და როცა, ერთის თავის შემდეგ, ამავე ნაციონალური პრეზის სხდომები ხელ-ახლად დაიწყება, როცა ისინი, უეჭველია, ამ პრეზის უმრავლესობას თავისკენ ვერ მიიმხრობენ, მაკ-მაჰონი მაშინ, იმათის რჩევით და სენატთან დათანხმებით, დაითხოვს ნაციონალურ პრეზას, დანიშნავს ახალ ამოჩვევებს იმ იმედით, რომ ახალი პრეზენტებისა და მერების წყალობით ამოარჩიონ თავის მორჩილი და მომხრე დეპუტატები განახლებულ ნაციონალურ პრეზისათვის.

ამ განახლებულ ნაციონალურ პრეზის შემწეობით, მოელიან ბროჰლის მსგავსი პირები ახლანდელ საფრანგეთის კონსტიტუციისა და რესპუბლიკის მოსაზრებისა და თავიანთ პოლიტიკურ განზრახვათა შესრულებას; ე. ი. მონარხიულ მმართველობის დადგენას.

მაგრამ ამის თქმა თითქმის ნამდვილად შეიძლება, რომ ეს იმედი ამათ არ შეუსრულდებათ: თუმცა დღემდინ რესპუბლიკას მაინც-და-მაინც მაგდენი სიკეთე და კეთილდღეობა არ მოუტანია საფრანგეთისათვის, მაგრამ ხალხში მაინც მტკიცედ არის გამჯდარი რესპუბლიკური მმართველობის სიყვარული და

სარგებლობა და ამის გამო მონარხისტების ძალ-დატანება და რჩევა აქ ბევრს ვერას გარეგებს: ხალხი კიდევ რესპუბლიკელებს ამოარჩევს მომავალ ნაციონალურ პრეზიდენტად.

და მაშინ რაღას იქმონენ ეს ბროჰლი, ბჰიუფე და სხვა ყველანი, რომელნიც ასე თავგადადებულნი არიან ახლა მონარხისტების? მაშინ მაკმაჰონმა, თუ ის მართლა პატიოსანი და კანონის დამცველი კაცია, ძალა-უნებურად ისევ რესპუბლიკელებს უნდა მიმართოს და იმათ სამინისტროს, იმათ პრეზენტებს უნდა მიანდოს საფრანგეთის გამგეობა.

მეორე გზაც არის, თუ ამ საზოგადო მოთხოვნების შესრულება არ მოინდომეს ამათ: ეს „სახელმწიფო ცვლილებები“, რევოლუციის გზა. მაგრამ ვერა გვეგონია, რომ ახლანდელმა საფრანგეთის მონარხისტებმა იმდენი თავ-ხედობა, იმდენი მხნეობა და წინ-დაუხედაობა გამოიჩინონ, რომ ამ გზაზე დადგომა გაბედონ. ვერ გაბედვენ ამიტომ, რომ ეს არც კერძოთ იმათთვის იქნება გამოსადეგი და სასარგებლო და არც საფრანგეთისათვის, თუმცა, მართალია, ამ გზარ საქმეებში ამათ საფრანგეთი და ხალხი სრულებით მხედველობაშია არა ჰყავთ მიღებული...

ს. მ.

# სამართლები

## დღიური

\*\*\* ბირჟის უწყებებში დაბეჭდილია თიფლისის დამღებულის კორრესპონდენცია, რომელიც, სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ ჩინებში დააქვთ შამილის ბუხრის ქუდიო, რომელიც ვითომ ცილამ არის ჩამოვარდნილი და ამ ნაირის საშუალებით აჯანყებენ ხალხსა, არწმუნებენო, რომ შამილი თხოულობსო, რომ თქვენ ყველანი რუსის წინამძღვრად აღსდგეთო.

\* მეორე რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში ტაგანროგში ღენერალ ჩარნიაევს გამოუვლია, რომელიც ძავკასიაში ძილილია.

\* თიფლისის ძლოებმა (ბრუჟოკმა) ათასი მანეთი შესწირა „წითელი ჯვარის საზოგადოებას“ ომში დაჭრილებისა და ავადმყოფი მხედრების სასარგებლოდ.

\* შვირილიდამ გვეჩვენებს, რომ აქაურის უფროსი უფროსის თაოსნობით, წითელი ჯვარის საზოგადოების სასარგებლოდ აგროებენ ფულსა და მას შემდეგ რაც ომი გამოცხადდა, აქ ბლომათ შეაგროვესო. მუდამ დღე რკინის გზის ვაგონებში ატარებენ თურმე საზოგადოების ყუთებს და მოგზაურებში ჰკრებენ. „თუ ყველა ამისთანა პატარა ქალაქებში ამდენ ფულს პოულობენ დაჭრილების სასარგებლოდ, რამდენსაც აქ უჭკველია კარგა დახმარება მიეცემათ იმათაო,“ — ასე ათავენს თავის უნიშნვას ჩვენი კორრესპონდენტი.

\* ამავე კორრესპონდენტისაგან ჩვენ კიდევ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა:

„ჩვენ მომრიგებელ სასამართლოში ვიყავი ამას წინათ. მოსამართლე საჩივრებს იღებდა. სხვა მომჩივრებთა შორის წამოდგა იქაური რკინის ტელეგრაფის სტანციის უფროსი უ.

დვორაკოვსკი და მოახსენა მოსამართლეს:

„—უფ. მოსამართლე! შორანის მახრაში და დაბა შვირილაში მცხოვრებმა იოსებ სიმონის ძემ ბძელი-ვემა მომაყენა მე უპატიურება სიტყვით და გთხოვთ, უფ. მოსამართლე, დასაჯოთ იგი კანონისა-მებრ. შევლა საბუთს ბძელივეის გასამტყუვნებლად წარმოგიდგენთ მე ამ საქმის გარჩევის დროს.

„მოსამართლე ცოტა ხანს შეჩერდა და მერე ჰკითხა:

„—როდის მოგაყენათ იმან სიტყვით უპატიურება?

„—უფ. მოსამართლე, უპასუხა მომჩივანმა, — მე მოგახსენეთ, რომ უფ. ბძელივეის გასამტყუვნებელ საბუთებს საქმის გარჩევის დროს წარმოგიდგენთ-მეთქი და ამიტომ ახლა არ ვრაცხ საქმროთ, რომ ამაზე რამე მოგახსენოთ.

„მოსამართლემ მოილო საჩივარი. პომიკური მხარე ამ შემთხვევაში ის არის, რომ უფ. ბძელივეი და შორანის უფროსი მომრიგებელი მოსამართლე ერთი და იგივე პირია.

\* \* \* მასულ სამშაბათს, საღამოს მეთექვსმეტე, ერთი რალაც ყვირილი შეიქნა ალექსანდროვის ბაღში. ხალხი რომ მივიდა იმ აოჯას, საიდამაც ეს ყვირილი მოისმოდა, ნახეს, რომ ძირს ერთი ვილაც თავგაჩხილი ქალი ეგდო, რომელმაც ვერაფერი ვერა სთქვა — თუ ვისგან და როგორ ჰქონდა იმას თავი გაჩხილი.

## „დროშის“ კორრესპონდენცია

რაპიღბან, 14 მაის. ვფიქროვთ და ვერ მოგვიფიქრია, თუ რათ შევსცოდეთ ისე საშინლად ან ღმერთს და ან ადგილობრივის ადმინისტრაციას, რომ აქამდე ვერ მოიბრუნა ჩვენსკენ გული. გვეგონია, და არათუ გვეგონია დარწმუნებულიცა ვართ იმაში, რომ ჩვენ მახრაში მცხოვრებლები მეტს თუ არა, იმდენს გარდასახად მაინც ვიხდით, რამდენსაც სხვა მახრაში იხდიან; მუშა ხალხი კარგი ვართ, მეჩირობის და ამპარტავნობის არა ვიცით რა, თავ-მდაბლობით და სიმშვიდით განთქმული ვართ; რასაც ვეობრძანებენ, გამოუკითხავთ ვასრულებთ; სჯა და კრიტიკა არ გვიყვარს, ამიტომ რომ, ვფიქრობთ, რასაც უფროსი პირები გვიბრძანებენ, ის საკრიტიკო და სასაჯულო არ არის, მით უფრო, რომ ისინი მმართველობისაგან ჩვენ მწყობრებით და ჩვენ გზის მაჩვენებლად არიან დაყენებულნი.

ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ ჩვენმა უფროსმა ჩვენ, რაჭველებს, ვეობრძანოს: წადით, აიღეთ ნაჯახი, თოხი, ბარი და ნიჩაბი და ნაქერალის მთა გადააბრუნეთო, — ჩვენ უკან დავიწით, ან ვანციფრდეთ ამ შეუძლებელი წინადადების მასმენელნი, ან მივსცეთ კითხვა: განა შეიძლება ამ ნაირი პროექტის სისრულეში მოყვანა.

დახ, ჩვენ არ გამოვიკითხავთ: ვალ-დებულები ვართ თუ არა დაუჯილდოვებლათ სახელმწიფო გზებზე ვიმუშაოთ და მაღალი თვალ-აუწყდენელი მთები წაღმა-უკულმა ვაბრუნოთ, და მართლათაც რალა საკითხავია, როცა კარგათ ვიცით, რომ რასაც გვაკეთებინებენ, ჩვენთვისვე გვაკეთებინებენ და არა ვადამთიელებისათვის. რაც შეეხება ჩვენს უმფროსებს, ჩვენ იმედი გვაქვს ისინი არაოდეს არ გახდებიან ჩვენი

შრომის და ოფლის ექსპლუატატორებათ, რადგანაც ორ სამშენებლო იმდენს სამწყურს იღებენ ხელმწიფისაგან, რამდენათაც თვითელი ჩვენგანის სახლ-კარი და ადგილმამული მის დღეშიც არ ღირებულა და არც ეღირება.

არ ვიცით, იქნება ჩვენი ამისთანა შეხედულება შემცდარი და უსაფუძვლოთ იყო, მაგრამ რა ექნათ, როდესაც დროთა ვითარებას ამ ნაირათ შეუწყვიტა ჩვენი ცხოვრება და წრფელობა ბეჭედთან.

ამბობენ და მეც ინსტინქტურად ვგრძნობ, რომ ჩვენი ცხოვრების ამ ნაირ წყობილებაში, მეტი თუ არა, იმოდენი კარგი მხარე მაინც არის, რამოდენიც ცუდი. ამისთანა ხალხი ენერგიული, პატიოსანი, კეთილშობილი ჰაზრების მქონე და ამისთანავე მიზნების მიმდევარი კაცი ბევრს სიკეთეს მოუტანს ამ მშენებლის საქართველოს მშენებელ მხარეს. მაგრამ ჩვენი უხედურობა ის არის, რომ ამისთანა კაცებს ჩვენს ქვეყანაში მოსვლა ისე ეზარებათ, როგორც ციმბირში წასვლა; ხანდისხან ნება-უნებურად ბრმა ბედი მოაგდებს ხოლმე ამ უკანასკნელებს ჩვენში; მაგრამ, საუბედუროთ, ესენი ისევე ჩქარა სტოვებენ ჩვენს ქვეყანას, და თუ არა სტოვებენ ცოტა ხნის შემდეგ მაინც და მაინც იღალავენ ხოლმე თავის თავს ბიუროკრატის დალით და ემორჩილებიან ამავე ბიუროკრატის წესს.

იმის დასამტკიცებლათ თუ რამდენათ მართალი არის ზემოთ მოყვანილი ჰაზრი, რომ პატიოსანი და მასთან ენერგიული კაცი წინ წასწევს ჩვენს დავარდნილ ხალხს, მოვიყვან შემდეგ მაგალითს:

ამ შევიღ-რვა წლის წინეთ უ. რაჰის მახრის უფროსმა გასცა ბრძანება, რომლის ძალით ყველა სოფლებში სოფლების მოხელები უნდა შესდგომოდნენ სასოფლო კანცელარიების და სასოფლო შკოლებისათვის ვრცელ და ნათელ სახლების შენებას. მიიღეს თუ არა ეს ბრძანება სოფლის მოხელებმა, იმ წამსვე შეუდგნენ ბრძანების აღსრულებას და ორი-სამი თვის განმავლობაში თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებაში დამართეს სუფთა, ვრცელი ხის სახლები, უმეტეს ნაწილათ ორ-ორეტყიანები. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანის შემდეგ, მათ ებრძანათ მოეკრიფათ ფული სოფლის შკოლების მასწავლებლებისათვის და მოედებნათ ეს უკანასკნელნი. შევლას გვეგონა, რომ ამ ბრძანების შესრულებამდე კარგი ძალი წყალი ჩაივლის, მაგრამ მოვსტყუდით: რაჭველებმა სწრაფათ მოაგროვეს ფულები და რალაც მანქანებით ქვესკნელიდან ამოაძვრინეს მასწავლებლები; ამ ნაირივე სისწრაფით მოაგროვდნენ შაგირდებიც და გაიხალა სწავლა.

დაიწყო შკოლებში სიარული მუთისის გუბერნიის შკოლების ინსპექტორმა უ. ტროიემ და რალაც ნაირი, ჩვენი პედალოლებისაგან „მოდნათ“ შემოდებული ლოლიკის ძალით, პირველ კლასის პირველსავე განყოფილებაში უპირატესი ადგილი მისცა რუსულ ენას. მეტად საზარელი საყურებელი იყო უსუსური შევიღ-რვა წლის შაგირდები, რომლებიც დედა ენის ვერ მცოდნენი ჯერეთ სლავიანურ ენაზე „ცარიუ ნებენსი“ ამტრევდნენ წაღმა-უკულმა. მათ მასწავლებლებს, ამ ახალ-გამოჩეკილ პედალოებს, რომლებიც ასე ერთგულად გამოუდგნენ ნეტარად სახსენებელის ტატივის პე-

დალოლიურ ტატიკას, ასე ეგონათ თუ ჩვენს მოსწავლეებს პირველ განყოფილებაშივე სლავიანურ ტატიკები დავასწავლებთ, მათივე ფილების გათავებამდე ფილოსოფიურ კითხვების გავებამდე ამაღლდებიანო. ამ ნაირის ჰაზრით თავში იმათ დაუწყეს პირველი განყოფილების მოსწავლეებს სლავიანური ენით დაწერილი ლოცვების რუსული ენით თარგმნა; მასწავლებლებს სურდათ გაეადვილებინათ ყმაწვილებისათვის გაუგებარი ენის დახვარება, მაგრამ გამოვიდა სულ წინამძღვრე: გაუგებარი ენის გაუგებარი ენით ხსნამ მეტათ მოაბეზრათ თავი ყმაწვილებს, მით უფრო რომ პირველ შემთხვევაში ყმაწვილს უნდა დაესწავლა ესთქვათ „მამაო ჩვენო“ მარტო სლავიანურათ და ახლა კი რუსულათაც და „ეს“ ს. მაგიერად უნდა ეთქვა „ნახოღისია“ და ვინ არ იცის, რომ ქართული ყმაწვილისათვის „ესი“ და „ნახოღისია“ ორივე ერთნაირად გაუგებარია!

ლოცვები კიდევ არაფერი, მაგათ კიდევ როგორც იქნებოდა გადაურჩებოდნენ უსუსური ყმაწვილები, მაგრამ მოგებაშილის ანბანთან შშინსკის „როდნოე სლოვო“ უჩიხებს ხელში და პირველსავე წელიწადში მეორე წიგნის მეორმოცდაათე გვერდამდე გაილოდნენ! რაც ხდებოდა სხვა განყოფილებაში თვითონ მკითხველმა იფიქროს.

ამ ნაირად ბუნებითი ნიჭიერი რაჭველი ყმაწვილები უმცარი წინამძღოლმების წყალობითა, გახსნის მაგიერად სლოუნდავენ, აყუავენ თავის მახვილ ნიჭს... მაგრამ ამ საგანზე იმედი მაქვს შემდეგ მოველაპარაკო მკითხველებს, ახლა მიუბრუნდები შეწყვეტილ ჰაზრებს და განვაგრძნობ.

შკოლების დამართვის შემდეგ, ბრძანებისავე ძალით, ჩვენი გლეხები შეუდგნენ გზების კეთებას სოფლიდან სოფლამდე და რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიხსნა მშენებელი, ფართო, მშრალი და მოხერხებით ვაკე გზები. შათავეს თუ არა სასოფლო გზების კეთება, რაჭველი გლეხები შეუდგნენ ნაქერალის გზის კეთებას; აიღეს თავის მღვი ხელებით ფუთიანი რკინის კეტი, ჩაქუჩი, ბარი, ნიჩაბი და სხვა. დაეტაკნენ ყველაფერს, რაც კი დაუხვდათ გზაზე, არ შეუშინდნენ არაფერს: არც წყალს, არც მეწყერს, არც ქვას, არც კლდეს, არც ღრეს; ვცენ, გაგლიჯეს და გაიტანეს ყველაფერი, რამაც კი იფიქრა მათი წინ დახლომა და დაბრკოლება. ბაიყვენს მშენებელი, ვაკე, მშრალი და ფართო გზა იქ, სადაც რაოდენიმე წლის წინეთ ორ ცხენოსანს არ შეეძლო ჩამოუხტომელათ და შეუჩერებლათ ერთი ერთმანეთის გვერდის ახვევა, სადაც საშინელი ტალახი მუცელს უღობავდა ხოლმე მოსრულ ლაფშას.

შოველი კაცი, ნასწავლი და უსწავლედი, ვინც კი ხედავდა ამ ნაირ მოძრაობას ჩვენში, ფიქრობდა, რომ თუ ამ ნაირი კეთილი მოძრაობა მალე არ შესდგა, ხალხი დიდს ნაბიჯს წასდგამს წინაო.

ბაიარა კარგა ხანმა. შოველი კაცი ელოდა, რომ მალაზიები, რომლებიც სასოფლო კანცელარიებთან არიან ყოველ საზოგადოებაში, დაიტენებიან პურიით, დიკით, ქვრით, ზამღურით, ღომით, სიმინდით და სხ; მაგრამ უმეტესი ნაწილი მათგანი დღემდე ცარიელი არიან; ზოგიერთის კარებიც არ იგდება და სოფლის ცხვრები და ღორები ხშირათ ათენებენ ხოლმე იმაში გრძელ

ზამთრის და მოკლე ზაფხულის ღამეებს; შკოლები ცარიელდებიან, გზები ხდებიან. მეწყერდებიან და იქცევიან; იქ, სადაც ამ იარი-სამი წლის წინეთ ოთხი ცხენით შებმული ფაეტონით ტარებას (აღმართ-დაღმართის გარდა) არა დაგიშლიდა-რა, დღეს იქ გარება შეუძლებელად ხდება, რადგანაც გზის ნაპირებზე ტყეს შეუკრავს პირი, გადახვევიან ერთი ერთმანეთს მცენარეები და მაგრა შეწებებულან ერთმანეთთან; ზოგს ჯერეთ ვერ მოუსწვრიათ ერთმანეთთან შეწებება, მაგრამ შეყვარებულების სინახით ხრიან ერთი ერთმანეთისაკენ თავს, იზიდებიან ერთი მეორესკენ და თუ ხანდისხან ბორბოტი ქარი მისწი-მოსწევს და დიდ მანძილზე დაშორებს ერთმანეთს, ისინი ისევ ნახათ, თითქო სირცხვილით ეძებენ ერთი მეორეს და რაკი დაინახვენ დაიწყებენ შეუნიშნავ მოძრაობას და ბოლოს ისევ დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ჩვენი მშვენიერი, ბევრ-ნამყოფიანი მიწა ბლომათ აძლევს საზრდოს ყოველ მცენარეებს, ამიტომ გასაკვირველი სიჩქარით იზადებიან და იზდებიან ყოველ-გვარი მცენარეები: იქ, სადაც ერთის წლის წინეთ ჯირკების, ბუჩქების და ნაჭრების მეტს ვერას ხედავდი, დღეს იქ მშვენიერი, ამაართავანი ტყე შეუშენებს. ამიტომ ყოველთვის საჭირო არის წელიწადში ერთხელ მაინც გაიკაფოს გზის ნაპირები, შეკეთდეს გზა, გამოიცივლოს არხი და სხვ. მაგრამ ვინღა უვლებს ამავს ყურს?

ზოგალოთელი (დასასრული შემდეგ №-ში)

### უცხო ქვეყნები

#### ინგლისი

მსმალეთს ძალიან დიდი იმედი აქვს, როგორც ეტყობა, რომ ამ მოკლე ხანში ინგლისი უეჭველად დაეხმარება იმას რუსეთთან ბრძოლაში. მართი ინგლისურის გახეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ აქ ყველა დარწმუნებული არის, რომ ბევრი-ბევრი ერთის თვის განმავლობაში ინგლისი ჩვენ დასახმარებლად თავის ფლოტსა და ჯარს გამოგზავნის; აქ ამბობენ, იწერება ეს კორრესპონდენტი, რომ კოროლევა მიქტორიას უკვე დაუნიშნავს ერთი ღენერალი, სახელად სიმენსი, იმ ჯარის სარდალად, რომელიც ჩვენ დასახმარებლად იქნება გამოგზავნილი.

ლო და გარემოება გვიჩვენებს — რამდენათ გამართლდება ეს მოლოდინი.

### საბერძნეთი

დიდი მღელვარება და ომიანობისათვის მზადება ამ ქამად მთელს საბერძნეთში. მაგრამ უფრო მომეტებული მღელვარება მსმალეთის ორს პროვინციაშია — თესალიაში და მკინაში, რომლის მცხოვრებლები სულ ბერძნები არიან და რომელთაც ჰსურთ მსმალის დამოკიდებულობისაგან განთავისუფლდნენ და საბერძნეთს შეუერთდნენ.

მრთს რუსულს გახეთში დაბეჭდილი პარიჟიდან მიღებული დეკრეტი გვეცნობებს, რომ საბერძნეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ მაისის 21 გამოუცხადოს მსმალეთს ომი. პარლამენტის უმრავლესობა იმ ჰაზრის არის, რომ, თუ საბერძნეთმა ამ გარემოებით არ ისარგებლა და არ დაიბრუნა თავის პროვინციები, უეჭველია, არეულობა მოხდება, და ამის გამო ძალა-უნებურად დათანხმდა ომის გამოცხადებაზედა.

### სერბია

რუმინის წაბძვით სერბიაც ამ დღეებში აპირებს მსმალეთისაგან თავისდამოუკიდებლობის გამოცხადებას და თან ომისათვისაც დიდს მზადებაში არის.

## ნარკვი

### მეყენის ფულის პატრონები

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, პარიჟში მოკდა რატშილი, რომელსაც 1000 მილიონი ფრანკის შეძლება დასტოვა. ამ შეძლების წელიწადში რომ ხუთი ნასალი (5%) ვიანგარიშით, გამოვა, რომ რატშილდს წელიწადში 50 მილიონი ფრანკი შემოსავალი ჰქონია. შემკვიდრეთ ამ მიცვალებულს დარჩა ოჯახი, რომლის წევრნიც უმისოთაც ძრიელ შეძლებულნი არიან ასე, რომ ეხლა არის კიდევ მეორე რატშილი, რომლის სიმდიდრე არ ჩამოუდგება იმ გარდაცვალებულს.

დიდი ხანი არ არის აგრეთვე, რაც ინგლისში გარდაიცვალა მარკიზი მესტინსტერი, რომელსაც წლიური შემოსავალი 800 ათასი გირვანქა სტერლინგი ჰქონია (ერთი გირვანქა სტერლინგი თითქმის რვა მანეთია). ხუთი ნასალის გამოანგარიშებით მარკიზ მესტინსტერის მარტო მიწის მამულებს შემოაქვს 16 მილიონი გირვ. სტერლინგი. ინგლისის კანონებით მარკიზ მესტინსტერის მემკვიდრეობა უფროსს ვაჟზე გადადის.

მხოლოდ მაგ. ითი ამერიკიდანაც მივიყვანოთ. მრთს კნატარს ჯონს ყოველს წელს ძალიან ბრძნის ვერცხლის მადნებიდან 5 მილიონი დოლარი შემოდის. ამ შემოსავლის 5% ნასალი რომ ვიანგარიშით, მთელი მამულის ფასი იქნება 100 მილიონი დოლარი. ეს ერთი. მეორე მდიდარია მაკეი; ამას აგრეთვე ძალიან ბრძნის ვერცხლის მადნებიდან წელიწადში შემოდის 2 მილიონი და 750 ათასი გირვ. სტერლინგი. ამ წლიური შემოსავლის 5% რომ ნასალი ვიანგარიშით, მთელი მამულის ფასი იქნება 55 მილიონი გირვ. სტერლინგი.

მხლა მანეთის ღირებულებად გამოვიანგარიშოთ, თუ ამ ქვეყნის ფულის პატრონებს ყოველს თვეში, დღეში, საათში და მინუტში რამდენი მანეთი შემოსავალი აქვს.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like მესტინსტი, ჯონს, როტუ, მაკეი, მინა 128, მილ. მან. 160, 320, 440, წილიწადში 6 მილ. 400 ათ. — 8 — 16 — 22, თვეში — 520 ათ. — 660 ათ. 1,400 ათ. 1,800, დღეში — 17 ათ. — 22 ათ. — 48 ათ. — 63 ათ., საათში — 820 მან. — 960 — 2000 — 2400, მინუტში — 12 — 16 — 32 — 40

შველზე მდიდარი დედამიწაზე გამოდის მაკეი, რომელსაც მინუტში 40 მან. და სეკუნდში სამ აბაზ ნახევარი აქვს შემოსავალი. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ამ ოც-და-ათი წლის წინათ მაკეი სრულებით უფროსით დახეტილებდა თურმე ირლანდიაში. ამ ოცის წლის წინეთ ჩრდილოეთ ამერიკაში ვილაცასთან მოჯამაგირეთ ყოფილა და თექვსმეტის წლის წინეთ კი სრულებით გაკოტრებულა. მაშასადამე კოტრობის შემდეგ, 16 წლის განმავლობაში, შეუძენია მას ამდენი სიმდიდრე.

## განცხადებანი

### ძალაძის გაგზავნისაგან

თფილისის ძალაძის გაგზავნა ამით აცხადებს საყოველთაოდ, 1) რომ გამგეობის აღმასრულებელ ჩინოვნიკებს (исполнительные чиновники) მინდობილი აქვთ გამგეობისაგან, რომ ძალა დაატანონ ამ პირთა, რომელთაც რომელიმე გადასახადი წარსულ წლებისა ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ და რაც შეიძლება საჩქაროთ შემოატანინონ; 2) აღმასრულებელ ჩინოვნიკებს არა აქვთ უფლება, რომ ამ გვარ პირებს თვითონვე გამოართვან გადაუხდელი გადასახადი; იმათ მხოლოდ უნდა მოსთხოვონ ამ პირით ძალაძის გამგეობის კვიტანცია, რომ ეს ფული ძალაძის ხაზინაში შეტანილია. ამის გამო ყველა კვიტანციები, რომელ-

ზედაც ამ 20 მაისიდან აღმასრულებელ ჩინოვნიკების ხელი იქნება მოწერილი, არ მიიღებან მხედველობაში და ამ გვარ კვიტანციებისა და ჩინოვნებს ხელ-ახლად მოეთხოვება გადასახადი.

(3-1)

## „ქეკეთი“

ამ დღეებში გაიხსნა სარძეო სარდაფი „ქეკეთი“, სადაც ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, სმეტანა, ტვოროგო, ყველი, უღუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.

ამ ზაფხულს მსურველთა მოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოაცხადონ სარძეო სარდაფში თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდეს.

სარძეო სარდაფი „ქეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუხეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლეთაში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

3-3

## LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იქეთი ზედმოქმედება აქვს აღაზიანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა აღაზიანის კანს დაამსგავსებს.

მანს ეკერება და არა სჩნის.

შ. ჭაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესახანხავად; ზამთარში არ დაუტყდება ხელის კანი, ვიც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156-135

Table with multiple columns: რკ. გზა., დილა., საღამ., II კ., III კ., ცეცხლის გაგზავნი, უოზბა, ბირჟა, მან., კაპ., მაზანდა, კან., კაპ. Includes various numerical data and text entries.